დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, განათლების საფეხური

ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახელება
კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2026 წლის 17 აპრილი.

დასკვნის წარდგენის თარიღი
2026 წლის 5 სექტემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	კავკასიის უნივერსიტეტი ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი (აშშ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი - 205050567 ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი -185129
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მეთიუ კიჩინგი, ლანკასტერის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთი ცხადაძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამაზ უზუნაშვილი, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი, ჯორჯია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო;
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ რაზმაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ)
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Business Analytics and Data Science 3-Year Joint Programme (with New Jersey City University - NJCU, USA)
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	200
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, უსდ-ის მიერ სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

„ბიზნეს ანალიტიკის და მონაცემთა მეცნიერების“ 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა, რომელიც ხორციელდება ნიუ-ჯერსის სითი უნივერსიტეტთან (New Jersey City University – NJCU, აშშ) თანამშრომლობით, წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა ანალიზის სფეროში პროფესიული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება.

პროგრამა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ორი წლის განმავლობაში ისწავლონ კავკასიის უნივერსიტეტში (150 ECTS კრედიტი), ხოლო შემდგომ ერთი წელი გაატარონ ნიუ-ჯერსი სითის უნივერსიტეტში (50 ECTS კრედიტი). კავკასიის უნივერსიტეტში შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ, სტუდენტები მესამე, დასკვნითი სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრიდან გაემგზავრებიან ნიუ-ჯერსიში და სწავლას განაგრძობენ NJCU-ში, სადაც სასწავლო კურსები განხორციელდება დასწრებული ფორმატით. სასწავლო კურსების წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტებს მიენიჭებათ შემდეგი აკადემიური ხარისხები: კავკასიის უნივერსიტეტის მიერ – ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, ხოლო ნიუ-ჯერსის სითი უნივერსიტეტის მიერ – ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების ბაკალავრი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2026 წლის 17 აპრილს, პარასკევს, უნივერსიტეტის თბილისის კამპუსში და ონლაინ, ჰიბრიდულ ფორმატში განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტი. ვიზიტი ორგანიზებული იყო სათანადო დონეზე. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  - მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  - მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  - მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  - მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები**

  - სასურველია, ბიზნესის შეფასების დეტერმინისტული და ალბათური მოდელები არა მხოლოდ მონაცემთა ანალიზის კურსის შემადგენლობაში, არამედ გადაწყვეტილებათა ანალიზის დამოუკიდებელ კურსადაც ისწავლებოდეს. (1,5)
  - სასურველია არსებულ მარკეტინგულ კურსებში მარკეტინგული ანალიტიკის ისეთი მოდელების ინტეგრირება, როგორიცაა პროდუქტის შეფასება, მომხმარებლის შეფასება, ფასწარმოება და ა.შ., ან მარკეტინგული ანალიტიკის ახალი დამოუკიდებელი კურსის დანერგვა. (1,5)
  - სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს პროგრამის ფინანსურ ასპექტებსა და პროგრამის გრძელვადიან მდგრადობას სტუდენტთა დაბალი მიღების შემთხვევაში. (4.5)
  - სასურველია, რომ პროგრამამ უფრო მეტად გააძლიეროს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ხარისხის ციკლის ადრეულ ეტაპებზე, მაგალითად პროგრამის სწავლის შედეგებისა და ნიშნულების ფორმულირების პროცესში, რაც შეავსებს მათ უკვე არსებულ როლს შეფასებისა და უკუკავშირის პროცესებში. (5.1)
  - სასურველია, უკუკავშირის პროცესების შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარება, რითაც შეიკვრება უკუკავშირის ციკლი. (5.3)
  - სასურველია, ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ყველა პროცესის სათანადოდ დასრულებას დაინტერესებული მხარეების მიერ, მათ შორის კვლევით კომპონენტთან მიმართებითაც. (5.3)

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა**

  - ერთობლივი პროგრამის ინოვაციური ხასიათი ეროვნულ კონტექსტში.
  - პროგრამისთვის ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსების მაღალი ხარისხი.
  - პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად რეზერვირებული ფონდების გამოყენება.
  - ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების გაციფრულებისა და ძირითადი პროცესების ელექტრონულ სისტემაში ინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული სამუშაოები.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

  დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის ივნისში განიხილა. დაწესებულებამ უპასუხა სტანდარტების 1.1, 1.2 და 1.4 ფარგლებში დასკვნის პროექტში წარმოდგენილ რეკომენდაციებს, რომლებიც პროგრამაში ბიზნეს ანალიტიკის კომპონენტის აქცენტირებას ეხებოდა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების პოზიცია აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და საბოლოო დასკვნიდან ამოიღო როგორც რეკომენდაციები, ისე მათთან დაკავშირებული შესაბამისი ტექსტი.
  შედეგად, სტანდარტი 1 მოთხოვნებთან შესაბამისად შეფასდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - პერსონალი და ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი), მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტებისა და/ან დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა; ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სქემა;

    დაწესებულება პროგრამის განხორციელებაში 40 თანამშრომლის ჩართვას გეგმავს. მათ შორისაა 25 აკადემიური პერსონალი, რომლის განაწილება შემდეგნაირია: პროფესორი (8), ასოცირებული პროფესორი (9), ასისტენტ-პროფესორი (8). პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 15 აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომლის განაწილება შემდეგნაირია: აფილირებული პროფესორი (5), აფილირებული ასოცირებული პროფესორი (7), აფილირებული ასისტენტ-პროფესორი (3). პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართული იქნება სულ 8 საერთაშორისო პერსონალი.

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

    პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა ბოლო 5 წლის განმავლობაში ჯამში 234 სტატია გამოაქვეყნა. აღნიშნული მოიცავს 43 პუბლიკაციას ადგილობრივ ჟურნალებში, 45 პუბლიკაციას საერთაშორისო ჟურნალებში, 9 მოხსენებას ადგილობრივ კონფერენციებზე და 21 მოხსენებას საერთაშორისო კონფერენციებზე.

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

    რადგან ეს ახალი პროგრამაა, დღემდე მის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გადინების მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.

  - **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.

    რადგან ეს ახალი პროგრამაა, დღემდე მის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გადინების მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.

  - თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

დასკვნის მომზადების ეტაპზე სხვა რელევანტური რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც კომენტარს საჭიროებდა, წარმოდგენილი არ ყოფილა.

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია**
1,3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია**
1,4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია**
1,5	სასწავლო კურსი/საგანი	**შესაბამისობაშია**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია**
2,4	სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია**
3.	**სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია**
3.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა	**აირჩიეთ შესაბამისი**
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსები	**შესაბამისობაშია**
4.2	მაგისტრანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	**აირჩიეთ შესაბამისი**
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია**
4,4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4,5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია**
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.2	გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5,3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა	**შესაბამისობაშია**

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხილეთ ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების შესახებ

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა აშშ-ის ნიუ-ჯერსის სითი უნივერსიტეტთან (NJCU) პარტნიორობით ხასიათდება მკაფიოდ განსაზღვრული პროგრამის მიზნებითა და სწავლის შედეგებით, რაც ლოგიკურად არის ურთიერთდაკავშირებული და შეესაბამება დარგის დონესა და სპეციფიკას. პროგრამა შემუშავებულია იმგვარად, რომ კურსდამთავრებულებმა შეიძინონ ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე მონაცემებზე დაფუძნებულ ბიზნესგარემოში ეფექტიანი საქმიანობისათვის. პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთმიმართება თანმიმდევრულია, ხოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურირებული დიზაინი ხელს უწყობს მათ მიღწევას. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება რეგულარულად ხორციელდება და აღნიშნული შეფასებების შედეგები გამოიყენება პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის მიზნები სათანადოდ ასახავს ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების ინტერდისციპლინურ ბუნებას, რომელიც აერთიანებს ბიზნესის ადმინისტრირების, ანალიტიკური აზროვნებისა და ტექნოლოგიური კომპეტენციების ელემენტებს. მიზნები ორიენტირებულია ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებაზე, რომლებსაც შეუძლიათ ბიზნესის წინაშე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება, კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის უნარებისა და ეთიკური პასუხისმგებლობის დემონსტრირებით. მიზნები ასევე წარმოაჩენს პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, ისეთი პროფესიონალების მომზადების გზით, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ

ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონტექსტში.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მიზნები თანხვედრაშია კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიასა და ხედვასთან, რომლებიც ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და ეთიკური ღირებულებების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებაზე, ასევე საერთაშორისო აღიარების მიღწევის მისწრაფებაზე. ეს თანხვედრა აისახება იმაში, რომ პროგრამა ორიენტირებულია გლობალურ პერსპექტივებზე, პასუხისმგებლიან მენეჯმენტსა და საერთაშორისო აკადემიური სტანდარტების ინტეგრაციაზე, რასაც დამატებით ამყარებს საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი ორმაგი ხარისხის სტრუქტურა.

თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა აღნიშნული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. მიზნები მკაფიოდ არის ფორმულირებული, თანმიმდევრულია და შეესაბამება როგორც აკადემიური ხარისხის დონეს, ისე სწავლის სფეროს; ასახავს ბიზნესის ცოდნის, ანალიტიკური კომპეტენციებისა და ტექნოლოგიური უნარების ინტეგრაციას, რაც აუცილებელია თანამედროვე მონაცემებზე დაფუძნებულ გარემოში საქმიანობისათვის.

პროგრამა ასევე ადასტურებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას, განსაკუთრებით ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების სპეციალისტებზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით. პრაქტიკული კომპონენტებისა და რეალურ პრობლემებზე დაფუძნებული ამოცანების ინტეგრირება ხელს უწყობს გამოყენებითი კომპეტენციების განვითარებას და ზრდის პროგრამის საერთო რელევანტურობას.

საერთო ჯამში, პროგრამის მიზნები არის რელევანტური, კარგად სტრუქტურირებული და შესაბამისობაშია როგორც ინსტიტუციურ პრიორიტეტებთან, ისე საერთაშორისო მოლოდინებთან, რაც ხელს უწყობს როგორც დარგის განვითარებას, ისე ფართო საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები.

[რეკომენდაციები](#).

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი პროგრამის (აშშ-ის ნიუ-ჯერსის სითი უნივერსიტეტთან (NJCU) ერთად) სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ნათლად ასახავს შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან, სწავლის დონესთან და დარგის ინტერდისციპლინურ ბუნებასთან. სწავლის შედეგები იმგვარად არის შემუშავებული, რომ უზრუნველყოს კურსდამთავრებულების მიერ თანამედროვე მონაცემებზე დაფუძნებულ ბიზნესგარემოში საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის დაბალანსებული ერთობლიობის შეძენა.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს თანმიმდევრულ პროგრესიას საბაზისო ცოდნიდან მის გაღრმავებულ პრაქტიკულ გამოყენებამდე. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ანალიტიკური და ტექნიკური კომპეტენციების განვითარებაზე, მათ შორის მონაცემთა ანალიზისა და მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენებაზე ბიზნესპრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მიღების პროცესების მხარდასაჭერად. ამავე დროს, სწავლის შედეგები მოიცავს კრიტიკულ აზროვნებასა და რაოდენობრივ მსჯელობას, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს შეაფასონ კომპლექსური ინფორმაცია და შეიმუშაონ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგები მიზნად ისახავს ბიზნესის ფუნდამენტური ცოდნისა და ანალიტიკური ექსპერტიზის ინტეგრირებას, რაც კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს ეფექტიანად იმოქმედონ მულტიდისციპლინურ და გუნდურ გარემოში. ამას სრულყოფს მონაცემთა მართვის უნარებზე ორიენტაცია, მათ შორის მრავალფეროვანი მონაცემთა ნაკრებების შეგროვების, დამუშავებისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, პრაქტიკული ღირებულების მქონე დასკვნების მისაღებად.

პროგრამა ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კომუნიკაციის უნარების განვითარებას, რათა კურსდამთავრებულებს შეეძლოთ ანალიტიკური კონცეფციების

ეფექტიანად წარდგენა როგორც ტექნიკური, ისე არატექნიკური აუდიტორიისათვის. გარდა ამისა, სწავლის შედეგები მოიცავს მრავალფეროვან ორგანიზაციულ და გლობალურ კონტექსტებში საქმიანობის უნარს და აღიარებს ბიზნესგადაწყვეტილებებზე ფართო საზოგადოებრივი და დაინტერესებული მხარეების ფაქტორების გავლენას.

პროგრამის სწავლის შედეგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარე ეთიკურ პასუხისმგებლობაზე მათი აქცენტია. მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულები შეძლებენ ეთიკური საკითხების იდენტიფიცირებას, მონაცემთა კონფიდენციალურობისა და სამართლიანობის სტანდარტების დაცვას და ანალიტიკის საზოგადოებრივი გავლენის გააზრებას, რაც პროგრამას პასუხისმგებლიანი და მდგრადი პრაქტიკის საერთაშორისო მოლოდინებთან შესაბამისობაში აქცევს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული, ლოგიკურად სტრუქტურირებული და სათანადოდ ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობის დონეს, რომელიც მოსალოდნელია ამ სფეროს საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისგან.

პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა ნათლად იკვეთება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის საერთო დიზაინის თანმიმდევრულობას. სწავლის შედეგები მოიცავს ძირითად კომპეტენციურ სფეროებს, მათ შორის ანალიტიკურ აზროვნებას, ტექნიკურ კომპეტენტურობას, კომუნიკაციას, გუნდურ მუშაობასა და ეთიკურ პასუხისმგებლობას, რაც ხელს უწყობს ისეთი კურსდამთავრებულების განვითარებას, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ცოდნის გამოყენება რეალურ და საერთაშორისო კონტექსტებში.

გარდა ამისა, სწავლის შედეგები რელევანტურია შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებთან მიმართებით და ასახავს საერთაშორისო სტანდარტებს, განსაკუთრებით პროგრამის საერთაშორისო პარტნიორ ინსტიტუციასთან ერთობლივი ხასიათის გათვალისწინებით. გამოყენებით უნარებსა და პრობლემების გადაჭრაზე გაკეთებული აქცენტი ზრდის პროგრამის წვლილს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის სწავლის შედეგები სათანადოდ აერთიანებს ანალიტიკურ, ტექნიკურ და ბიზნესთან დაკავშირებულ კომპეტენციებს და მკაფიოდ წარმოაჩენს პროგრამის ინტერდისციპლინურ ხასიათს. ზემოხსენებული უზრუნველყოფს ისეთი კურსდამთავრებულების მომზადებას, რომელთაც შეუძლიათ ანალიტიკური მეთოდებისა და ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენება მრავალფეროვან ბიზნესკონტექსტებში. სწავლის შედეგები თანმიმდევრულად უკავშირდება პროგრამის მიზნებს და შეესაბამება კურსდამთავრებულის განსაზღვრულ პროფილს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

[რეკომენდაციები](#).

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[1.2 პროგრამის სწავლის შედეგები](#)	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეფასების მექანიზმი ეფუძნება ყოვლისმომცველ ციკლს, რომელიც მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, რაც სტუდენტთა მიღწევებისა და პროგრამის ეფექტიანობის კომპლექსური შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

პირდაპირი შეფასება ეფუძნება სტუდენტთა მიღწევების გაზომვას ძირითად სავალდებულო სასწავლო კურსებში. პროგრამა განსაზღვრავს შესრულების მკაფიო ინდიკატორებს, რომელთა მიხედვითაც სწავლის შედეგი მიღწეულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის სტუდენტთა არანაკლებ 80% (მინიმუმ ათი სტუდენტის არსებობის შემთხვევაში) აღწევს კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს და წარმატებით ასრულებს კურსს. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რამდენიმე ჯგუფი, შედეგები ერთიანდება საშუალო მაჩვენებლების გამოყენებით, ხოლო პროგრამის დონეზე სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც შესაბამისი კურსების ჯგუფების საერთო საშუალო მაჩვენებელი აღწევს ან აღემატება განსაზღვრულ ნიშნულს. შეფასების პროცესს მხარს უჭერს მკაფიოდ იდენტიფიცირებული შეფასების კომპონენტები, მათ შორის ქვიზები, შუალედური და დასკვნითი გამოცდები, დავალებები, პროექტები და პრეზენტაციები. სწავლის შედეგების მონიტორინგის სტრუქტურირებული გეგმა განსაზღვრავს სასწავლო კურსებს, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების პერიოდებს.

არაპირდაპირი შეფასება სრულყოფს აღნიშნულ მიდგომას და მოიცავს უფრო ფართო შესრულების ინდიკატორებს, როგორიცაა სტუდენტთა ჩარიცხვის ტენდენციები, პროგრამის დასრულების მაჩვენებლები, მობილობის მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემები (მათ შორის დასაქმება შესაბამის სფეროში), ასევე უკუკავშირი ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან, მათ შორის სტუდენტებისგან, აკადემიური პერსონალისგან, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლებისგან. აღნიშნული მონაცემები გროვდება გამოკითხვებისა და ჩართულობის სხვა ფორმატების, მათ შორის მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრების

მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების მრავალფეროვან მონაწილეობას .

შეფასების პროცესი ხორციელდება პერიოდულად და სისტემურად, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ინდიკატორების ყოველწლიური მონიტორინგის საფუძველზე. პროგრამას თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები, ხოლო შეფასების შედეგები რეგულარულად შედარებულია ამ სამიზნე მაჩვენებლებთან. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების შედეგები მიეწოდება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საერთო ხედვის ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამა განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ მიმართულებებს და გეგმავს შემდგომ განმავითარებელ ღონისძიებებს, რითაც უზრუნველყოფს უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის ფუნქციონირებას.

თვითშეფასების ანგარიშისა და დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

პროგრამა ავლენს კარგად სტრუქტურირებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ შეფასების სისტემას, რომელიც აერთიანებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს. გაზომვადი სამიზნე ნიშნულების გამოყენება, მონაცემთა სისტემური შეგროვება და რეგულარული მონიტორინგი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების საიმედო და თანმიმდევრულ შეფასებას. შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გამოყენება დამატებით აძლიერებს შეფასების პროცესის ყოვლისმომცველობასა და სანდოობას.

პროგრამის მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა მკაფიო კავშირი შეფასების შედეგებსა და უწყვეტ გაუმჯობესებას შორის შეფასების მონაცემების სისტემური ანალიზი და პროგრამის განვითარებისათვის მიღებული შედეგების გამოყენება ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფისადმი მომწიფებულ და ეფექტიან მიდგომას.

გარდა ამისა, აკადემიური პერსონალისა და გარე დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა, ასევე შედეგების გამჭვირვალე კომუნიკაცია, ხელს უწყობს

ანგარიშვალდებულებისა და პროგრამის ხარისხზე საერთო პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებას.

საერთო ჯამში, შეფასების მექანიზმი არის ძლიერი, გამჭვირვალე და ეფექტიანად დანერგილი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების მიღწევის უწყვეტ მონიტორინგსა და გაუმჯობესებას, ინსტიტუციური მიზნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა ;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი](#)	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს აისახება სასწავლო გეგმის განვითარების სისტემურ მიდგომაში, ECTS კრედიტების მკაფიო და შესაბამის განაწილებაში, ასევე პროგრამის კომპონენტებს, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის შესაბამისობაში. საერთო ჯამში, პროგრამის დიზაინი შეესაბამება დაწესებულების მოთხოვნებსა და საერთაშორისო აკადემიურ პრაქტიკებს.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და ლოგიკურად ორგანიზებული, ამგვარად უზრუნველყოფს სწავლების მკაფიო პროგრესიას. იგი იწყება ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსებით, რაც ავითარებს ტრანსფერულ უნარებს, გრძელდება ბიზნესის ძირითადი დისციპლინების სწავლებით და შემდეგ გადადის მონაცემთა მეცნიერების სპეციალიზებულ სასწავლო კურსებზე. კურსების თანმიმდევრობა და წინაპირობების სისტემა ხელს უწყობს ცოდნის დაგროვებით განვითარებას და პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

სასწავლო გეგმა ასახავს ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ბიზნესის ცოდნას ანალიტიკურ და ტექნოლოგიურ კომპეტენციებთან. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ზოგადად, შეესაბამება დასახულ სწავლის შედეგებს. ანალიტიკური და ბიზნესზე ორიენტირებული სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების როგორც ტექნიკური კომპეტენციების განვითარებას, ისე კონტექსტური გააზრების უნარს, რაც მათ მონაცემების ინტერპრეტაციისა და ორგანიზაციულ გარემოში გადაწყვეტილების მიღების პროცესების მხარდაჭერის შესაძლებლობას აძლევს. სადიპლომო პროექტის (Capstone) კომპონენტის არსებობა დამატებით უწყობს ხელს მიღებული ცოდნის ინტეგრაციასა და პრაქტიკულ გამოყენებას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ზოგადად, შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან და ასახავს ბიზნესისა და ანალიტიკის ინტერდისციპლინურ ფოკუსს. პროგრამის საერთაშორისო განზომილება, რომელიც ხორციელდება პარტნიორ

უნივერსიტეტთან 2+1 მოდელის ფარგლებში, დამატებით აძლიერებს მის აკადემიურ ხარისხს და ხელს უწყობს გლობალურად კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულების მომზადებას.

პროგრამა უზრუნველყოფს ბიზნესისა და ანალიტიკური კომპონენტების დაბალანსებულ ინტეგრაციას. სასწავლო გეგმა სტუდენტებს სთავაზობს ანალიტიკური მეთოდების მრავალფეროვან ბიზნესკონტექსტში გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს იმ ინტერდისციპლინური კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც შეესაბამება პროგრამის სახელწოდებას, სწავლის შედეგებსა და კურსდამთავრებულის განსაზღვრულ პროფილს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;

[რეკომენდაციები](#):

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.4. [საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი](#)	შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზოგადად, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და თითოეული კურსის შინაარსი ძირითადად, შეესაბამება პროგრამის დასახულ სასწავლო მიზნებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, ძირითადად

,შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ხოლო თითოეულ კურსზე მინიჭებული კრედიტების რაოდენობა ასახავს მის შინაარსსა და შედეგებს, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების დატვირთვა შესაძლოა მაღალი იყოს. თითოეული კურსის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, ისევე როგორც საკონტაქტო საათების საერთო რაოდენობა, შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები საკმარისია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად, რადგან სილაბუსებში განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სწავლა-სწავლების სხვა რესურსები შესაბამისობაშია სწავლის სფეროსთან.
კურსების სილაბუსები შექმნილია უნივერსიტეტის სტანდარტიზებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად და შეიცავს დეტალურ ინფორმაციას კურსის სტატუსის, ფორმატის, მიზნების, შედეგების, შინაარსისა და როგორც სავალდებულო, ისე დამატებითი ლიტერატურის შესახებ.

სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ასახავს სხვადასხვა ტიპის გამოცდებისა და მათი კომპონენტების მაქსიმალურ ქულებს, ასევე ნაწილობრივი პასუხების შეფასების ქულობრივ დიაპაზონებს. დაინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან) ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ შეფასების სისტემა სტუდენტებისთვის გამჭვირვალეა.

ბიზნეს ანალიტიკის და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი პროგრამის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ხორციელდება ნიუ-ჯერსის სითი უნივერსიტეტთან (NJCU) თანამშრომლობით, მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, უნივერსიტეტის მიერ სავალდებულოდ განსაზღვრულ კურსებსა და საუნივერსიტეტო არჩევით კურსებს. ამ კურსების შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა წარმოდგენილი სილაბუსებში, რომლებიც მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს: სწავლის მიზნები, სწავლის შედეგები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სასწავლო საათების განაწილება, შეფასების მეთოდები, სწავლების მეთოდები და კურსის შინაარსი შესაბამისი ლიტერატურის მითითებით.

თითოეული კურსის კრედიტების მოცულობა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, მერყეობს 2.5-დან 5 კრედიტამდე. საკონტაქტო და დამოუკიდებელი სასწავლო საათების განაწილება დაბალანსებულია. თითოეული სწავლის შედეგი ფასდება განსაზღვრული შეფასების სისტემის საფუძველზე, ხოლო სილაბუსი მოიცავს სავალდებულო ლიტერატურას, რომელიც ხელს უწყობს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. კურსების უმრავლესობა უზრუნველყოფს ფუნდამენტურ ცოდნასა და პრაქტიკულ შემთხვევებზე დაფუძნებულ სწავლებას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. გარდა ამისა, პროგრამა აღჭურვილია მონაცემთა ანალიზისთვის საჭირო მონაცემთა მეცნიერების ინსტრუმენტებით. თუმცა, არც ერთი სასწავლო კურსი არ მოიცავს ისეთ შინაარსს, რომელიც ბიზნეს ანალიტიკის მოდელებს ეხება, მაშინ როდესაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ეს პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იყოს. მაგალითად, მონაცემთა

ანალიზის კურსში ყველა დეტერმინისტული ოპტიმიზაციის მოდელი წარმოდგენილია მხოლოდ ერთ ლექციაში, ალბათური მოდელებიც (მაგალითად, მონტე-კარლოს სიმულაციები) მხოლოდ ერთი ლექციის ფარგლებში განიხილება. სასურველია, აღნიშნული თემების რეორგანიზაცია ცალკე ძირითად ან, სულ მცირე, არჩევით სასწავლო კურსად/კურსებად, სადაც წარმოდგენილი იქნება ბიზნესპრობლემების გადაჭრის სტანდარტული მოდელები (დეტერმინისტული და/ან ალბათური).
ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ მარკეტინგის კურსები არასაკმარისად მოიცავს საბაზრო ანალიტიკის თემებს, როგორიცაა პროდუქტის შეფასება (მათ შორის conjoint analysis-ის უფრო განვითარებული მოდელები), მომხმარებლის ღირებულების შეფასების მოდელები, ფასების ოპტიმიზაცია, მარკეტინგული არხების შეფასება, სოციალური ქსელების ღირებულების შეფასება და სხვა. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, აღნიშნული თემების ინტეგრირება მარკეტინგის არსებულ კურსებში (მაგალითად, „მარკეტინგის საფუძვლები“, „მომხმარებელთა ქცევა“) ან ახალი სასწავლო კურსის — „მარკეტინგული ანალიტიკის“ — დანერგვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა
- სილაბუსები
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, ბიზნესის შეფასების დეტერმინისტული და ალბათური მოდელები არა მხოლოდ მონაცემთა ანალიზის კურსის შემადგენლობაში, არამედ გადაწყვეტილებათა ანალიზის დამოუკიდებელ კურსადაც ისწავლებოდეს.
- სასურველია არსებულ მარკეტინგულ კურსებში მარკეტინგული ანალიტიკის ისეთი მოდელების ინტეგრირება , როგორიცაა პროდუქტის შეფასება, მომხმარებლის შეფასება, ფასწარმოება და ა.შ., ან მარკეტინგული ანალიტიკის ახალი დამოუკიდებელი კურსის დანერგვა.

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[1.5. სასწავლო კურსი/საგანი](#)	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულება მიიჩნევს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულია გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი ჩარიცხვის წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე სტუდენტების ჩართვას, რომელთაც შეუძლიათ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

ბიზნეს ანალიტიკის და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიან ერთობლივ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ეს მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის, ჩაბარებას.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისები დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. პირს, რომელსაც კანონმდებლობის საფუძველზე უფლება აქვს ჩაირიცხოს პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, მოეთხოვება ინგლისური ენის ფლობის B2 დონის კომპეტენციის დადასტურება (IELTS – 6.0; TOEFL – 78; ან B2 დონის სხვა შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი) ან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შესაბამისი B2 დონის გამოცდის წარმატებით ჩაბარება. პროგრამაზე ჩარიცხვა მობილობის წესითაც შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პერსონალსა და ამ სტუდენტებს კარგად ესმოდათ დაწესებულების ჩარიცხვის პროცესები, აკადემიური და სხვა წინაპირობები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ მოქმედებს მყარი და ეფექტიანი

ჩარიცხვის პროცედურები, ხოლო პოტენციურ აპლიკანტებს ინფორმაციის მიღება გასაგებად და სამართლიანად შეუძლიათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
- ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში წარმოდგენილი თანამედროვე ლიტერატურა;
- სტუდენტებისთვის შექმნილი თანამედროვე და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები](#)	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ ერთობლივი პროგრამა მიზანმიმართულად არის შემუშავებული სტუდენტების პროფესიული, პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების სისტემური განვითარებისათვის და პროგრამის სტრუქტურა იმგვარად არის აგებული, რომ სტუდენტი პირველი სასწავლო კურსიდანვე იწყებს თეორიული ცოდნის რეალურ ბიზნესპრაქტიკასთან დაკავშირებას. აღნიშნული მიდგომა თანმიმდევრულად გრძელდება შემდგომ სასწავლო კურსებშიც, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთოს დამოუკიდებელ და/ან გუნდურ კვლევით და საპროექტო საქმიანობაში. დაწესებულების შეფასებით, თითოეული სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს იმ კონკრეტული პრაქტიკული უნარების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე ბიზნესგარემოში ეფექტიანი საქმიანობისათვის.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ პროგრამის საწყისი ეტაპები სტუდენტებს უქმნის მყარ საფუძველს ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა კალკულუსი, წრფივი ალგებრა, ბიზნესსტატისტიკა და ფინანსური აღრიცხვა, რაც აუცილებელია ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების განვითარებისათვის. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნულ საფუძველს ამყარებს ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა მენეჯმენტის პრინციპები, ორგანიზაციული ქცევა, ბიზნესის სამართალი და მარკეტინგის პრინციპები, რომლებიც ავითარებს სტუდენტთა პრაქტიკულ უნარებს, მათ შორის გუნდურ მუშაობას, ორგანიზაციული პრობლემების გადაჭრას, ბიზნესგარემოს ანალიზს, მოლაპარაკებების წარმოებასა და კომუნიკაციას. ამ კურსების ფარგლებში სტუდენტები ასრულებენ რეალურ ბიზნესპროცესებზე დაფუძნებული შემთხვევების (ქეისების) ანალიზსა და დავალებებს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს უსაფრთხო სასწავლო გარემოში მოირგონ პროფესიული როლები და განივითარონ გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკული სტრატეგიები.

მიუხედავად ამ ანგარიშის სხვა ნაწილებში წარმოდგენილი რეკომენდაციებისა, რომლებიც პროგრამაში ბიზნეს ანალიტიკის შინაარსს ეხება, ექსპერტთა ჯგუფმა აღიარა პროგრამაში უკვე არსებული ბიზნესანალიტიკის კომპონენტები, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც სტუდენტებს ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში (NJCU) სწავლის პერიოდში უტარდებათ. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს აცნობა, რომ ისეთი

სასწავლო კურსები და ხელოვნური ინტელექტის კომპონენტები, როგორიცაა მონაცემთა ანალიზი და ბიზნესმოდელირება (Data Analysis and Business Modeling), ბიზნესანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერებისათვის პროგრამირების საფუძვლები (Programming Foundations for Business Analytics and Data Science) და სხვა, სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს პრაქტიკულად იმუშაონ მონაცემთა ბაზებთან, პროგრამირების საფუძვლებთან, პროგნოზირების ალგორითმებთან, მოდელირების ტექნიკებსა და ვიზუალიზაციის ინსტრუმენტებთან. ასევე აღინიშნა, რომ პროგრამის დასკვნით ეტაპზე გათვალისწინებული „მონაცემთა მეცნიერების სადიპლომო პროექტი“ (Capstone Project in Data Science) აერთიანებს კვლევით პროექტს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები დამოუკიდებლად გეგმავენ კვლევის დიზაინს, აგროვებენ მონაცემებს, ქმნიან ანალიტიკურ მოდელებს, ასწორებენ შეცდომებს და აკადემიური ფორმატის შესაბამისად წარმოადგენენ შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამა სათანადო ყურადღებას უთმობს ტრანსფერული უნარების განვითარებას, მათ შორის პროფესიული ინგლისური ენის კურსების, აკადემიური წერისა და ბიზნესკომუნიკაციის კომპონენტების მეშვეობით. ამასთანავე, ტრანსფერული უნარები ბუნებრივად ვითარდება პროგრამაში გამოყენებული მრავალფეროვანი სწავლებისა და შეფასების მიდგომების მეშვეობით. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას, რომ აღნიშნული მიდგომები ასევე ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა პროექტების მართვა, ლიდერობა და სტრატეგიული მენეჯმენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მემორანდუმები.
- სილაბუსით განსაზღვრული პრაქტიკული დავალებები
- მოქმედი პროგრამების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები დაწესებულებაში ვიზიტის დროს

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[2.2. 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/](#)	შესაბამისობაშია

კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულება პროგრამის ფარგლებში იყენებს სწავლებისა და სწავლის მეთოდების ფართო სპექტრს. ეს მეთოდები განპირობებულია როგორც პროგრამის განვითარების პრინციპებით, ისე სასწავლო მოდულების სპეციფიკით და ასახულია კურსების სილაბუსებში. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით ასევე დადასტურდა, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს საკმარისი ავტონომია საკუთარი სწავლებისა და სწავლის მეთოდების ადაპტაციისათვის, რათა სასწავლო პროცესი სტუდენტზე ორიენტირებული იყოს და ეფუძნებოდეს აქტიური სწავლების მიდგომებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები მოიცავს: ვერბალურ მეთოდს; დემონსტრირების მეთოდს; პრეზენტაციას; პრაქტიკულ სამუშაოს; ჯგუფურ მუშაობას; პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას; პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას; სწავლას პრაქტიკული საქმიანობის გზით (Learning by Doing); შემთხვევების შესწავლას (Case Study); სიმულაციურ სწავლებას; დისკუსიებსა და დებატებს; ელექტრონულ სწავლებას. მსგავსი პროგრამების სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ დეპარტამენტისა და უნივერსიტეტის პერსონალი სასწავლო პროცესში იყენებს სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვან მიდგომებს, რაც სასარგებლოა სხვადასხვა სასწავლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის (NJCU) წარმომადგენლებმა ასევე წარმოადგინეს საკუთარი ინსტიტუციის სპეციფიკური პედაგოგიკური ფილოსოფიის დამადასტურებელი მასალები, რაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვან პოტენციალს ქმნის პროგრამის შემდგომი გაძლიერებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები დაწესებულებაში ვიზიტის დროს

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები](#)	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად და თანაბრად ვრცელდება ყველა სტუდენტზე. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ შეფასების სისტემა არის სამართლიანი, გამჭვირვალე, სანდო და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შეფასების კრიტერიუმები, მათ შორის ქულების დეტალური განაწილება, განსაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსებში და ასევე ხელმისაწვდომია ელექტრონულ პორტალზე. გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის პრეზენტაციები, ესეები, ქვიზები და საშინაო დავალებები. გამოცდების მინიმალური ჩასაბარებელი ზღვარი, აგრეთვე გამოცდების გადაბარების პროცედურები და ვადები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

სტუდენტებს შეუძლიათ საგამოცდო შედეგების გასაჩივრება როგორც წერილობითი განცხადების პირადად წარდგენის გზით, ისე ელექტრონულად, საგამოცდო ცენტრის

მიერ შემუშავებული სპეციალური ფორმის მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, მათ ასევე შეუძლიათ შესაბამისი დოკუმენტაციისა და დამადასტურებელი მასალების წარდგენა. სტუდენტები კარგად იცნობენ გასაჩივრების მექანიზმებს და, მათი აზრით, აღნიშნული პროცესი სანდო, ობიექტური და გამჭვირვალეა.

ლექტორებთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუკავშირს საგამოცდო შედეგების შესახებ. რამდენიმე ლექტორმა აღნიშნა, რომ ისინი ატარებენ შუალედურ მიმოხილვებს, აწყობენ უკუკავშირის სესიებს და ასევე სთხოვენ სტუდენტებს შეაფასონ, რამდენად აკმაყოფილებს კურსი მათ მოლოდინებს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შესაძლო პრობლემების დროულ აღმოჩენას და აღმოფხვრას.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და სხვა ეთიკური საკითხების მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა მოთხოვნებსაც აკადემიური პერსონალი იცნობს და ითვალისწინებს. სტუდენტთა აკადემიური ნაშრომები რეგულარულად მოწმდება Turnitin-ისა და სხვა შესაბამისი პროგრამების გამოყენებით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აღნიშნული სისტემების გამოყენების გზამკვლევი, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე ყველა დაინტერესებული პირისთვის. გარდა ამისა, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია აკადემიური წერის სტანდარტების, ეთიკური ნორმებისა და სხვა მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ.

ვინაიდან პროგრამა ხორციელდება ნიუ ჯერსის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, გათვალისწინებულია ევროპულ და ამერიკულ საგანმანათლებლო შეფასების სისტემებს შორის არსებული განსხვავებები. კერძოდ, ამერიკულ სისტემაში გამოყენებული Pass/Fail კრიტერიუმი არ ვრცელდება აღნიშნული პროგრამის სტუდენტებზე. ნიუ ჯერსის უნივერსიტეტში განხორციელებული კურსების სილაბუსები მკაფიოდ განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს (მათ შორის, შეფასების სკალებს) და გამოყენებულ მეთოდოლოგიებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა და მეთოდოლოგია, აგრეთვე ყველა ჩართული მხარის ინფორმირებულობის დონე აკადემიური და ეთიკური სტანდარტების შესახებ, სრულად შეესაბამება აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურსების სილაბუსები;
- გამოცდების ჩატარების დებულება;
- შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა;
- ეთიკური ნორმების სახელმძღვანელო პრინციპები;
- ინტერვიუები;
- ვებ-გვერდი.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[2.4. სტუდენტების შეფასება](#)	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი

სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები კარგად არის განვითარებული და მოიცავს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს. სტუდენტებს ემსახურება: სტუდენტური სერვისებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი, რეგისტრატურა, კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტი, სტუდენტური ომბუდსმენის სამსახური, სტუდენტური ღონისძიებების სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი და შესაბამისი სკოლის ადმინისტრაცია.

სტუდენტებს შეუძლიათ აკადემიური კონსულტაციების მიღება როგორც აკადემიური პერსონალისგან, ისე სკოლის ადმინისტრაციისგან. აკადემიურ პერსონალთან საკონსულტაციო საათები განსაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტი რეგულარულად ავრცელებს სტუდენტურ ჯგუფებში მიზნობრივ ინფორმაციას როგორც პროფესიული განვითარების, ისე დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან შეხვედრების დროსაც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ხშირად აწყობს დასაქმების ფორუმებს და მიმდინარე ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას უზიარებს როგორც სტუდენტებს, ისე კურსდამთავრებულებს. რამდენიმე სტუდენტმა ასევე დაადასტურა, რომ ისინი დასაქმდნენ უნივერსიტეტის მიერ გავრცელებულ ვაკანსიებზე გამოხმაურების შედეგად. გარდა ამისა, დეპარტამენტი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას სხვადასხვა კომპანიის მიერ შეთავაზებულ ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამებში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას სკოლის საბჭოს საქმიანობაში და ხელს უწყობს მათ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ვიზიტის ფარგლებში ნათლად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი როგორც ახალი პროგრამის, ისე უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ. მათ ასევე აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ავითარებს სტუდენტურ სერვისებს, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამები მათ დასაქმებისთვის საკმარის ცოდნასა და უნარებს აძლევს.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი სასწავლო წლის განმავლობაში ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს გაცვლითი პროგრამების შესახებ და აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტთა მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებსა და ინიციატივებში. უნივერსიტეტს პარტნიორული ურთიერთობები აქვს მრავალ ევროპულ

უნივერსიტეტთან, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ როგორც გაცვლით პროგრამებში, ისე საერთაშორისო საზაფხულო სკოლებში.

კავკასიის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური ომბუდსმენის სამსახური, რომელიც ყველა სტუდენტს სთავაზობს ნეიტრალურ, მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ მხარდაჭერას. ომბუდსმენთან კომუნიკაცია კონფიდენციალური და დაცულია. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს ომბუდსმენს მიმართეს 6 შემთხვევაში, 2024-2025 სასწავლო წელს — 12 შემთხვევაში, ხოლო 2025-2026 სასწავლო წელს — 5 შემთხვევაში. გარდა ამისა, სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, რეგულარულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები ომბუდსმენის სამსახურის ფუნქციების შესახებ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს როგორც ინსტიტუციურად დაფუძნებული, ისე სტუდენტური ინიციატივით შექმნილი კლუბები და ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა ინტეგრაციას საერთო ინტერესების ირგვლივ. დამატებით, რეგულარულად იგეგმება სტუდენტური ექსკურსიები, მათ შორის საერთაშორისო ტურებიც.

საერთო ჯამში, სასწავლო გარემო, ხელმისაწვდომი სერვისები და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ორიენტირებულია სტუდენტთა საუკეთესო ინტერესების დაცვაზე. შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში დაწესებულება დადებითად შეფასდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ანგარიში ომბუდსმენის საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია საერთაშორისო საქმიანობისა და პარტნიორობის შესახებ;
- კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა;
- ინტერვიუები;
- ვებ-გვერდი.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნული სტანდარტი არ ეხება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ პროგრამის პერსონალი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებიც ფლობენ სტუდენტთა მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ კომპეტენციებს. პერსონალის ჩართულობა პროგრამაში სრულ შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესაბამის კანონმდებლობასთან და შიდა რეგულაციებთან. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული პოზიციების სპეციფიკურ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს პერსონალის კომპეტენციის უშუალო შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და მოქმედ სამართლებრივ სტანდარტებთან.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ დარგში განხორციელებული საქმიანობით, მათ შორის სამეცნიერო პუბლიკაციებით. გარდა ამისა, პერსონალს შესაძლებლობა აქვს წარმოადგინოს პრაქტიკული პროექტები, რაც დამატებით ადასტურებს მათ კომპეტენციას შესაბამის სფეროში. მოწვეული პერსონალიც მაღალკვალიფიციურია, ხოლო მათი ექსპერტიზა, ცოდნა და გამოცდილება პირდაპირ უწყობს ხელს სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ვიზიტის ფარგლებში, მსგავსი პროგრამების სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან მიღებული მხარდაჭერა განსაკუთრებით კარგი

იყო. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამას ემსახურება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობა, რომლებიც ფლობენ თავიანთი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიკაციასა და კომპეტენციებს. აღნიშნული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ კონკრეტულ ფუნქციებს, რაც პროგრამის ფარგლებში ეფექტიანი საქმიანობის განხორციელებას უზრუნველყოფს. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა შესაბამისია, ხოლო მათი ფუნქციები და მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობებში.

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისა და წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო ცოდნას, გამოცდილებასა და კომპეტენციებს. მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამის სფეროში მიღებული განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით, სამეცნიერო საქმიანობითა და შემოქმედებითი ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის ყველა ასპექტში, მათ შორის შეფასების, მიმდინარე განვითარების და განხორციელების პროცესებში. იგი ასევე მონაწილეობს სტუდენტთა აკადემიურ კონსულტირებაში და ჩართულია პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობაში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ განვითარებასა და შესაბამისობას აკადემიურ სტანდარტებთან.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული, ხოლო მისი კვალიფიკაცია დადასტურებულია პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით. მისი ხელმძღვანელობის ეფექტიანობა ფასდება გამოკითხვებისა და აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და სტუდენტების უკუკავშირის საფუძველზე.

ბიზნეს ანალიტიკის და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიან ერთობლივ პროგრამას ემსახურება მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მთლიანობაში ჩართულია 40 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 25 აკადემიური თანამშრომელი.

კავკასიის უნივერსიტეტი:
პროფესორი: 6 (5 აფილირებული),
ასოცირებული პროფესორი: 7 (7 აფილირებული),
ასისტენტ-პროფესორი: 6 (4 აფილირებული),
მოწვეული ლექტორი: 15.

ნიუ-ჯერსის სითი უნივერსიტეტი (NJCU):
პროფესორი: 2,
ასოცირებული პროფესორი: 2
ასისტენტ-პროფესორი: 2.

აღნიშნული მრავალფეროვანი და გამოცდილი გუნდი უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებას. აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების თანაფარდობა შეადგენს 25/15- ს. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აქტიური სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით დოკუმენტაციაში წარმოდგენილი არ არის, ვინაიდან პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები. ანალოგიურად, არ არის წარმოდგენილი პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელიც, რადგან პროგრამა ახალია.

წარმოდგენილი სიებიდან ნათლად ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი გამოირჩევა ძლიერი საგანმანათლებლო საფუძვლითა და ფართო პროფესიული გამოცდილებით. მათ მონაწილეობა აქვთ მიღებული საერთაშორისო პროექტებში, გავლილი აქვთ სხვადასხვა სასწავლო და ტრენინგ-პროგრამა, ასევე გამოქვეყნებული აქვთ მრავალი პუბლიკაცია და სამეცნიერო სტატია. რაც შეეხება მოწვეულ ლექტორებს, მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილება შესაბამის სფეროებში და გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგ- პროგრამა. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამის ერთობლივი ხასიათი კავკასიის უნივერსიტეტს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენოს ნიუ ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორების გამოცდილება და ექსპერტიზა, და პირიქით, რაც დროთა განმავლობაში პროგრამისა და სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს შექმნის.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებული აქვთ 234 სამეცნიერო კვლევა. აღნიშნული მოიცავს შემდეგს: ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 43 ნაშრომი; საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 45 ნაშრომი; ადგილობრივ კონფერენციებზე წარმოდგენილი 9 მოხსენება; საერთაშორისო კონფერენციებზე წარმოდგენილი 21 მოხსენება; 116 სხვა სახის სამეცნიერო-კვლევითი მიღწევა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური,	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)			**ხარისხის მქონე პერსონალი [4]**	
სულ აკადემიური პერსონალი	**25**			
- პროფესორი	7	6	7	5
- ასოცირებული პროფესორი	10	8	9	7
- ასისტენტ–პროფესორი	8	6	4	4
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	15	13	2	_
სამეცნიერო პერსონალი				_
მათ შორის საერთაშორისო პერსონალი	2	2	2	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის წესები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- CU-ს ვებგვერდი

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
[4.1. ადამიანური რესურსი](#)	შესაბამისობაშია

[4]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნული სტანდარტი არ ეხება.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და აქტიურად იყენებს პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგებს. უნივერსიტეტში დანერგილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის შეფასების სისტემები, რომლებიც არეგულირებს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებას. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი აკმაყოფილებდეს დადგენილ სტანდარტებს და ხელს უწყობდეს უწყვეტ განვითარებას.

სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა მექანიზმს. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფარგლებში ტარდება ლექტორების, მასწავლებლებისა და პროფესორების სემესტრული შეფასება სტუდენტების მიერ. ასევე ხორციელდება სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა როგორც ზოგადი კმაყოფილების, ისე საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროცესების შეფასების მიზნით. დაწესებულება ასევე ახორციელებს საგანმანათლებლო მიზნებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასებას.

ინტერვიუების პროცესში წარმოდგენილმა დოკუმენტებმა და ინფორმაციამ მნიშვნელოვნად წარმოაჩინა შედეგების შემდგომი გაუმჯობესებისთვის გამოყენება და პერსონალის მხარდაჭერის არსებული მექანიზმები. აღნიშნული მიგნებები ხაზს უსვამს უნივერსიტეტის გამოკვეთილად დადებით მიდგომას უწყვეტი განვითარების და პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობის მიმართ. მმართველი და აკადემიური პერსონალი იყენებს ტრენინგების, გრანტებისა და კვლევითი გაცვლითი პროგრამების

ფართო შესაძლებლობებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამისთვის გამოყოფილი რესურსები საკმარისია მისი სათანადო განვითარების უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიმართულებით, განსაკუთრებით კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და აკადემიურ ღონისძიებებში საზღვარგარეთ მონაწილეობის კუთხით. ინტერვიუების დროს უნივერსიტეტმა წარმოადგინა მიმდინარე საქმიანობის მკაფიო აღწერა და შემდგომი განვითარების კარგად გააზრებული გეგმები. აღნიშნული მიმართულება დადებითად ფასდება და მის კიდევ უფრო გაძლიერებაზე ორიენტირებული ძალისხმევა განსაკუთრებით მისასალმებელია.

ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა ეძლევა მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაში. კავკასიის უნივერსიტეტი თითქმის ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს და აქვეყნებს კონფერენციის მასალების კრებულს. ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველი სასწავლო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ თავიანთ ლექტორებს. აღნიშნული შეფასებების შედეგები აკადემიური პერსონალისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან უზრუნველყოფს მნიშვნელოვან უკუკავშირს, რომელიც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებას.

ინტერვიუს შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ შეფასების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს აკადემიურ პერსონალს სხვადასხვა პროექტებისა და გრანტების შესახებ რეგულარული ინფორმაციის მიწოდებით. უნივერსიტეტი მხარს უჭერს აღნიშნულ ინიციატივებში ჩართულობას, რომელიც დამოკიდებულია პერსონალის ინდივიდუალურ დატვირთვაზე.

კავკასიის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ტრენინგ-ცენტრი, რომელიც შესაბამის სფეროებში პერსონალისთვის უზრუნველყოფს მათზე მორგებულ სასწავლო პროგრამებს. აღნიშნული პროგრამები იგეგმება უნივერსიტეტის მიერ არსებული საჭიროებების შეფასების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლების უნარების მიზანმიმართულ და ეფექტიან განვითარებას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და განვითარებას გარე ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების დაფინანსების გზით. დამატებით, უნივერსიტეტს დანერგილი და დაფინანსებული აქვს სხვადასხვა

ინიციატივა, მათ შორის ღონისძიებები, ტრენინგები, სემინარები და მასტერკლასები, რაც უზრუნველყოფს პერსონალის უნარების უწყვეტ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მემორანდუმები, ხელშეკრულებები;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- პროგრამის თვით-შეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- ინფორმაცია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია დასრულებული პროექტების შესახებ.
- საერთაშორისო მობილობის სტატისტიკა;
- კავკასიის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი:

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდასაჭერად უზრუნველყოფს კარგად ჩამოყალიბებულ და ყოვლისმომცველ რესურსებს. ახალი ერთობლივი პროგრამა აღჭურვილი იქნება საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის საბიბლიოთეკო, მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით არსებითია პროგრამის მიზნებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამისთვის განკუთვნილი საბიბლიოთეკო ფონდის, მასალებისა და ციფრული რესურსების რეგულარულ განახლებას, რაც არსებული სტანდარტების შენარჩუნებას ემსახურება.

ბიბლიოთეკაში მოიძიება სილაბუსებში მითითებულ ყველა ძირითადი ლიტერატურა, ასევე დამატებითი სასწავლო მასალები, მათ შორის ელექტრონული რესურსების ფართო სპექტრი. აღნიშნული ყოვლისმომცველი ფონდი ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ წვდომა თანამედროვე სამეცნიერო პერიოდიკაზე, ციფრულ რესურსებსა და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც მათ საშუალებას აძლევს გაეცნონ დარგში არსებულ უახლეს სამეცნიერო მიღწევებს და, შესაბამისად, ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.

საინფორმაციო და ციფრული რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის, რაც უზრუნველყოფს წარმატებისთვის საჭირო ინსტრუმენტებზე თანაბარ წვდომას. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ამ რესურსების ხელმისაწვდომობისა და სათანადო გამოყენების შესახებ, ასევე კარგად იციან როგორ გამოიყენონ აღნიშნული რესურსები მათი აკადემიური საქმიანობისთვის.

უნივერსიტეტი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უზრუნველყოფს შეუზღუდავი წვდომით მის ინფრასტრუქტურაზე, მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებზე, რომლებიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მნიშვნელოვან კომპონენტს. აღნიშნული რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმის ეფექტიან განხორციელებას.

ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფილია ელექტრონული კატალოგით, საკითხავი დარბაზის შესაბამისი აღჭურვილობით, როგორიცაა კომპიუტერები, სკამები და მაგიდები, აგრეთვე მრავალფუნქციური ასლგადამღები მოწყობილობით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ბიბლიოთეკის პერსონალის დახმარებით. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ წვდომა ინტერნეტსა და საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე, როგორიცაა EBSCO HOST, Legal Source, MEDLINE, Scopus და სხვა. ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებზე წვდომას, მათ შორის Cambridge Journals Online, SAGE Journals და Taylor and Francis და სხვ.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები დამატებით ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან მართვას. კავკასიის უნივერსიტეტმა სასწავლო საქმიანობა 2017- 2018 სასწავლო წელს განაგრძო თბილისში, პაატა სააკაძის N1-ში მდებარე ახალ შენობაში. შენობის საერთო ფართობი შეადგენს 11,179 კვ.მ- ს, საიდანაც 5,021 კვ.მ წარმოადგენს სასწავლო სივრცეს. აღნიშნული შენობის განახლებისა და ახალი ინვენტარით აღჭურვის, ასევე ეზოს გამწვანებისა და მოწყობის სამუშაოებში განხორციელდა 12 მილიონი ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები: 63 აუდიტორია, ფოიე 170 კვ.მ- მდე, საკონფერენციო დარბაზი, დასასვენებელი სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები და სათავსოები, ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი სივრცეები, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივი და 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან წარმართვას.

უნივერსიტეტს გააჩნია ელექტროენერგიის მიწოდების ეფექტიანი სისტემა; შენობაში მოწყობილია ცალკე სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით და სათანადოდ არის მოვლილი. უნივერსიტეტის კამპუსი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვ.). ყველა სასწავლო აუდიტორიაში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. კამპუსის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური „მაგისტრი“, ხოლო უსაფრთხოების მიზნით შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო მეთვალყურეობის კამერები. განვითარებულია ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების მექანიზმები.

უნივერსიტეტს გააჩნია ლაბორატორიები და კომპიუტერული ტექნიკა, რომლებიც შეესაბამება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს, დაკავშირებულია ინტერნეტთან და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით/

აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები ჩართულია ადგილობრივ ქსელსა და ინტერნეტში.

უნივერსიტეტი ამჟამად აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებითა და ასლგადამღები ტექნიკით. ამჟამად უნივერსიტეტს აქვს 9 კომპიუტერული კლასი, რომლებიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, მულტიმედიური პროექტორებით ან სმარტ დაფებით. ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა ასევე აღჭურვილია შესაბამისი პროექტორებითა და კომპიუტერებით. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებითა და ინტერნეტზე წვდომით.

ნიუ ჯერსის უნივერსიტეტის მატერიალურ- ტექნიკური რესურსები მოიცავს:

- პირველი საერთო საერთო საცხოვრებელი – Vodra Hall (1963)
- ფორესტ ა. ირვინის სახელობის ბიბლიოთეკა (1968), რომელსაც 2000 წელს ეწოდა კონგრესმენ ფრანკ ჯ. გარინის სახელობის ბიბლიოთეკა.
- სტუდენტური კავშირის შენობა (1976), რომელსაც 1985 წელს ეწოდა მაიკლ ბ. გილიგანის სახელობის სტუდენტური კავშირის შენობა.
- სპორტისა და ჯანმრთელობის ცენტრი (1994), რომელიც 2005 წელს მიეძღვნა ჯონ მურს, 1956 წლის კურსდამთავრებულსა და საბჭოს თავმჯდომარეს (1989– 2005).
- ვიზუალური ხელოვნების ახალი ორსართულიანი შენობა, რომელსაც ამშვენებს სკულპტურებიანი ბაღი და მასში განთავსებულია საერთაშორისოდ აღიარებული არტისტის მაია ლინის ნამუშევარი (2003).
- ჯორჯ კარნუცოს სახელობის ხელოვნებისა და მცნიერების დარბაზი, რომელიც დაპროექტებულია მაიკლ გრეივის მიერ; მას ეწოდა 1955 წლის კურსდამთავრებულისა და პენსიაზე გასული ფილოსოფიის, პროფესორ ჯორჯ კარნუცოს სახელი, რითაც აღინიშნა მისი უნივერსიტეტისთვის გაწეული 2.5 მილიონი დოლარის შემოწირულობა (2006).

უნივერსიტეტის საზოგადოება მნიშვნელოვნად შეიცვლა და მრავალფეროვანი გახდა, ისევე როგორც მისი ინფრასტრუქტურა — დღეს კამპუსი მოიცავს 27 შენობას, საერთო ფართობით 51.46 აკრზე.

2002 წელს NJCU- მ და Brookdale Community College- მა (Wall, NJ) დაიწყეს თანამშრომლობა „Communiversity“ ფორმატში, რომლის მიზანი იყო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეთავაზება ცენტრალური და სამხრეთ ნიუ- ჯერსის მაცხოვრებლებისთვის. 2007 წელს NJCU- მ გახსნა Harborside-ის სასწავლო სივრცე — ბიზნეს კურსებისთვის განკუთვნილი ცენტრი, რომელიც მდებარეობს ჯერსი სიტის ფინანსურ უბანში.

2015 წლის სექტემბერში გაიხსნა NJCU ბიზნესის სკოლა — თანამედროვე, სპეციალურად დაპროექტებული შენობა Harborside Plaza 2- ში, ჰადსონის ქუჩაზე, PATH სადგურთან და მსუბუქი რკინიგზის გაჩერებასთან ახლოს. ორსართულიანი შენობა მოიცავს:

- 18 საკლასო ოთახს;
- მონაცემთა მეცნიერების ორ ცენტრს;
- Trading Floor- ის სიმულატორს;
- აუდიტორიას, ოფისებს, სასწავლო ზონებსა და სტუდენტურ ლაუნჯს;
- დიდ საკონფერენციო ცენტრს სანაპიროზე, რომელიც გადაჰყურებს ქვედა მანჰეტენს.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ორივე დაწესებულებას პარტნიორობის ფარგლებში გააჩნია საკმარისი მატერიალური რესურსები პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o დაწესებულებაში ვიზიტი,
- o უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი

[რეკომენდაციები](#).

- o არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში მოცემულია ინფორმაცია პროგრამის საბიუჯეტო უზრუნველყოფის შესახებ, რომლის მიხედვითაც პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მიღებულ შემოსავლებს და პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯის დაფარვას. ფინანსური პროგნოზები შემდეგ მონაცემებს ეფუძნება: 1) სწავლებისთვის საჭირო საკონტაქტო საათები; 2) სასწავლო კურსების რაოდენობა (სავალდებულო, არჩევითი და უცხო ენის კურსები); 3) სალექციო საათების ანაზღაურება; 4) სასწავლო პროცესში სტუდენტთა მატერიალური მხარდაჭერა; 5) უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები; 6)პროგრამის განვითარების/აკრედიტაციის/ინტერნაციონალიზაციის ხარჯები; და 7) პროგრამის განხორციელების პერიოდში გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის განკუთვნილი რეზერვი.

უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს აცნობა, რომ პროგრამა ფინანსდება „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდიდან“, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯის დაფარვას იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მინიმალურია. პროგრამაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისობაში მოჰყავთ განხორციელებულ ცვლილებებთან.

პროგრამის ბიუჯეტს ამტკიცებს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, რაც დასტურდება შესაბამისი ბრძანებით, რომელიც მოიცავს ფინანსურ პროგნოზებს.

ბიუჯეტში მითითებულის შესაბამისად, კავკასიის უნივერსიტეტი ვალდებულია New Jersey City University-ს გადაუხადოს ფიქსირებული წლიური საფასური. მართალია, კავკასიის უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს განუცხადა, რომ პროგრამა განხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის მიუხედავად, New Jersey City University მიიჩნევს, რომ პროგრამის სრულფასოვანი განხორციელების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სტუდენტთა მინიმალური კვოტის დადგენა, თუმცა კონკრეტული რაოდენობა განსაზღვრული არ არის. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კავკასიის უნივერსიტეტმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს დაბალი მიღების პირობებში ფინანსურ შედეგებსა და პროგრამის გრძელვადიან მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი
- თვითშეფასების ანგარიში.
- ინტერვიუები დაწესებულებაში ვიზიტის დროს

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს პროგრამის ფინანსურ ასპექტებსა და პროგრამის გრძელვადიან მდგრადობას სტუდენტთა დაბალი მიღების შემთხვევაში.

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების ერთობლივი პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების სისტემა აგებულია ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და თანხვედრაშია 5.1 სტანდარტის მოთხოვნებთან. სისტემა ეფუძნება ხარისხის მართვის ციკლურ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და შემდგომი რეაგირების ღონისძიებები ურთიერთდაკავშირებულია. ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული ციკლის პრაქტიკული გამოყენება დადასტურდა სწავლის შედეგების შეფასებისთვის სტრუქტურირებული მონიტორინგის ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების პროცესს და მიღებულ შედეგებს აკავშირებს პროგრამისა და სასწავლო კურსების დონეზე განხორციელებულ შემდგომ ღონისძიებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების კომბინაციით, განსაზღვრულ ნიშნულებსა და პერიოდულ გაზომვებზე დაყრდნობით. მიზნობრივი ნიშნულების გამოყენება შედეგების ინტერპრეტაციისა და მათი გადახედვის პროცედურების ინიცირების საფუძველს იძლევა. იმ შემთხვევაში, თუ შედეგები ვერ აღწევს მოსალოდნელ დონეს, პროგრამის დონეზე გამართული განხილვების საფუძველზე ხორციელდება ცვლილებები სწავლების, შეფასების ან სასწავლო შინაარსის მიმართულებით. აღნიშნული ადასტურებს, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რაც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

აკადემიურ ერთეულსა და ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალურ სამსახურს შორის თანამშრომლობა ფორმალიზებული და უწყვეტია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, პროცესების კოორდინაციასა და მონაცემთა კონსოლიდაციას. აკადემიური პერსონალი ჩართულია როგორც შედეგების ინტერპრეტაციის, ისე მათი განხორციელების ეტაპებზე, და მათი პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული. თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესი ასახავს აკადემიური, ადმინისტრაციული და საერთაშორისო

პარტნიორების კოორდინირებულ ჩართულობას, რაც ხელს უწყობს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მიდგომების შესაბამისობას.

დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი სისტემატურად გროვდება, რაც გასაუბრებების პროცესშიც დადასტურდა. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ჩართულნი არიან შეფასების პროცესებში, მათ შორის სავალდებულო უკუკავშირის მექანიზმებში, რაც უზრუნველყოფს მონაცემების რეგულარულ შეგროვებას. ამასთანავე, ყველა შემთხვევაში სრულად არ იკვეთება უკუკავშირის ციკლის დასრულებულობა, განსაკუთრებით შედეგებისა და განხორციელებული ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ჩართულობის მექანიზმები არსებობს და ფუნქციონირებს, მათი ძირითადი კონცენტრაცია შეფასების ეტაპზეა და ნაკლებად მოიცავს შექმნის პროცესს.

დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ უნივერსიტეტმა დაასრულა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების დიგიტალიზაცია და ჩააშენა ძირითადი პროცესები ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნული მოიცავს შეფასების მონაცემების მართვას, სწავლის შედეგების მონიტორინგსა და გამოკითხვების ადმინისტრირებას. მნიშვნელოვან მხარდამჭერ ელემენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა გაიარა მიზნობრივი ტრენინგები აღნიშნული ციფრული პლატფორმების გამოყენებისა და დანერგვის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს სისტემის თანმიმდევრულ გამოყენებას. ციფრული გარემო აუმჯობესებს მონაცემებზე ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან ანალიზს, თუმცა პროგრამის ყველა კომპონენტში მისი სრული ფუნქციონირებისა და თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველსაყოფად შემდგომი დახვეწაა საჭირო.

საერთო ჯამში, პროგრამა აკმაყოფილებს 5.1 სტანდარტის მოთხოვნებს. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს შიდა ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს და დასტურდება იმით, რომ გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების პროცესში. სასურველია, რომ არსებულ პრაქტიკასთან ერთად, პროგრამამ უფრო მეტად გააძლიეროს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ხარისხის ციკლის ადრეულ ეტაპებზე, მაგალითად პროგრამის სწავლის შედეგებისა და ნიშნულების ფორმულირების პროცესში, რაც შეავსებს მათ უკვე არსებულ როლს შეფასებისა და უკუკავშირის პროცესებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ციფრული პლატფორმები;
- დაინტერესებული მხარეების შეფასებები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუების შედეგები;

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, რომ პროგრამამ უფრო მეტად გააძლიეროს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ხარისხის ციკლის ადრეულ ეტაპებზე, მაგალითად პროგრამის სწავლის შედეგებისა და ნიშნულების ფორმულირების პროცესში, რაც შეავსებს მათ უკვე არსებულ როლს შეფასებისა და უკუკავშირის პროცესებში.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას აქვს გარე ხარისხის შეფასებისადმი სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომა, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ გარე შეფასებების შედეგები გაანალიზებულია და ინტეგრირებულია პროგრამის განვითარების პროცესებში 5.2 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. გარე ხარისხის უზრუნველყოფა ინტეგრირებულია ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის ფართო ჩარჩოში და დაკავშირებულია შიდა გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებთან; იგი არ არის წარმოდგენილი როგორც მხოლოდ შესაბამისობის დადგენის დამოუკიდებელი ცალკე პროცესი.

პროგრამა ფუნქციონირებს გარე შეფასების მრავალშრიან გარემოში, რომელიც აერთიანებს ეროვნულ აკრედიტაციის მოთხოვნებს, საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესებს, ბენჩმარკინგის აქტივობებსა და განვითარების მიზნებზე ორიენტირებულ კოლეგიალურ შეფასებას (peer review). ეროვნულ დონეზე პროგრამა შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მარეგულირებელ ჩარჩოს, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებში მიღებული რეკომენდაციები დადგენილი წესით განიხილება და მიეწოდება შესაბამის აკადემიურ ერთეულებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასრულებს კოორდინაციის ფუნქციას გარე უკუკავშირის კონსოლიდაციისა და მისი პროგრამისა და სკოლის დონეზე გათვალისწინების უზრუნველყოფის მიმართულებით. თვითშეფასების ანგარიშების პერიოდული მომზადების მოთხოვნა ხელს უწყობს გარე რეკომენდაციებზე რეაგირების უწყვეტ მონიტორინგს.

პროგრამა ასევე ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო პროცესებში. AACSB-ის აკრედიტაციის ჩარჩოში მონაწილეობა ქმნის გარე შეფასების დამატებით დონეს და ხელს უწყობს ბიზნესის განათლების სფეროში საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობას. წარმოდგენილი მტკიცებულებები მიუთითებს, რომ აღნიშნული პროცესის ფარგლებში მიღებული უკუკავშირი განიხილება ინსტიტუციურ სტრუქტურებში და გამოიყენება პროგრამის დონეზე მიმდინარე განხილვებში, განსაკუთრებით შეფასების მიდგომებისა და ერთობლივი პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტებთან მიმართებით.

განვითარებაზე ორიენტირებული კოლეგიალური შეფასება გამოიყენება როგორც მიზნობრივი გარე შეფასების მექანიზმი, განსაკუთრებით პროგრამის შემუშავებისა და განვითარების ეტაპზე. მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს საერთაშორისო აკადემიური ექსპერტის მიერ განხორციელებული გარე შეფასება, რომლის შედეგადაც გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები სასწავლო გეგმის სტრუქტურასთან დაკავშირებით,

მათ შორის გამოვლინდა არჩევითი კომპონენტების ფარგლებში მოქნილობის გაზრდის საჭიროება, რაც პროგრამას უფრო მეტად დააახლოებს დარგში არსებულ განვითარებას. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ფორმალურად განიხილება სკოლის მმართველ სტრუქტურებში და შესაძლოა სასწავლო გეგმის გაუმჯობესების საფუძველიც გახდეს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს გარე ექსპერტთა უკუკავშირს, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროგრამის განვითარებაზე.

შეფასების დამატებით ინსტრუმენტად ასევე გამოიყენება საერთაშორისო ბენჩმარკინგი. პროგრამა შედარებულია უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნული ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგებისა და სტრუქტურის აქტუალობას.

გარე შეფასების შედეგების ინტეგრირებას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლში ხელს უწყობს ინსტიტუციური სტრუქტურები, როგორიცაა „სწავლის შედეგების უზრუნველყოფის“ ჩარჩო და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის ორგანოები. ეს სტრუქტურები უზრუნველყოფს გარე რეკომენდაციების განხილვას და მათ ინტეგრირებას პროგრამის დაგეგმვისა და გადახედვის პროცესებში. ვიზიტის შედეგად მიღებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ გარე უკუკავშირი განიხილება Plan– Do– Check– Act ციკლის ფარგლებში და ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები;
- ინტერვიუების შედეგები;

რეკომენდაცები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**

5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას გააჩნია მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომა, რომელიც შეესაბამება 5.3 სტანდარტის მოთხოვნებს. მონიტორინგის პროცესები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებით, პროცესში ჩართულია დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრი, მათ შორის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, აგრეთვე სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და საერთაშორისო პარტნიორები.

პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება მონაცემთა უწყვეტი შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე. პირდაპირი შეფასება ეფუძნება სტუდენტთა მიღწევების წინასწარ განსაზღვრულ ნიშნულებს პროგრამის ძირითად კომპონენტებში, ხოლო მიღებული შედეგები გაანალიზებულია პროგრამისა და სკოლის დონეზე. მოსალოდნელი შედეგებიდან გადახრის გამოვლენის შემთხვევაში, მიგნებებს განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამისი აკადემიური ერთეულები, რის შედეგადაც ხორციელდება ცვლილებები სწავლების, შეფასების ან სასწავლო კურსის შინაარსის მიმართულებით. აღნიშნული ადასტურებს, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარების მიზნით. ამასთანავე, შეზღუდულია მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს აღნიშნული შედეგების სისტემურ კონსოლიდაციასა და გრძელვადიან ანალიზს შეფასების მრავალ ციკლში.

არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებიც რეგულარულად გამოიყენება. სტუდენტები ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ აფასებენ აკადემიურ კურსებსა და აკადემიურ პერსონალს, ასევე ტარდება დამატებითი გამოკითხვები ინსტიტუციური სერვისებით კმაყოფილების შესაფასებლად. ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებმა დაადასტურეს მათი მონაწილეობა სავალდებულო შეფასების პროცესებში, მათ შორის საბოლოო შეფასებების გამოქვეყნებამდე ადმინისტრაციული ერთეულების შეფასებაში. აღნიშნული უზრუნველყოფს უკუკავშირის მონაცემების სტაბილურობასა და თანმიმდევრულობას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა შეგროვების პროცესი კარგად არის ჩამოყალიბებული, შედეგებისა და განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის დაინტერესებული მხარეებისთვის კომუნიკაცია თანმიმდევრულად არ დასტურდება, რაც უკუკავშირის სრულ ციკლს ნათლად არ წარმოაჩენს. სასურველია, რომ უკუკავშირის პროცესების შედეგები სისტემატურად ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს, რაც უკუკავშირის ციკლს დასრულებულ სახეს მისცემს.

პროგრამა მოიცავს მონიტორინგის პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმებს. კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირი გროვდება და გათვალისწინებულია პროგრამის გადახედვის პროცესში. საერთაშორისო პარტნიორებიც აქტიურად არიან ჩართული, განსაკუთრებით პროგრამის ერთობლივი ხასიათიდან გამომდინარე, რაც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას უწყობს ხელს. უცხოურ პროგრამებთან შედარება და გარე ექსპერტების შეფასებების გამოყენება პროგრამის განახლებასა და მოდერნიზაციას ემსახურება. აღნიშნული აქტივობები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას იმ მოთხოვნასთან, რომელიც მოითხოვს პროგრამის შედარებას საერთაშორისო პრაქტიკასთან.

მონიტორინგის შედეგებმა გამოავლინა კონკრეტული მიმართულებები, რომლებიც შემდგომ განვითარებას საჭიროებს. შიდა ანალიზმა გამოავლინა შეფასების გარკვეულ პროცესებში მონაწილეობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი, განსაკუთრებით კვლევით კომპონენტში, რაც მონიტორინგის მონაცემების სრულყოფილებაზე აისახება. ამასთანავე, კურსდამთავრებულთა უკუკავშირმა გამოავლინა ხარვეზები მხარდაჭერის ცალკეულ მიმართულებებში. აღნიშნული მიგნებები აჩვენებს, რომ მონიტორინგის მექანიზმებს პრობლემების იდენტიფიცირების უნარი გააჩნია და არსებობს მტკიცებულება, რომ დაწესებულება შეფასების პროცესების შედეგად გამოვლენილ ოპერაციულ გამოწვევებზე შესაბამის რეაგირებას ახდენს. სასურველია ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ყველა პროცესის სათანადოდ დასრულებას დაინტერესებული მხარეების მხრიდან, მათ შორის კვლევითი კომპონენტის მიმართულებითაც.

პროგრამა მონიტორინგის ჩარჩოს ფარგლებში ასევე ითვალისწინებს რესურსებთან დაკავშირებულ ინდიკატორებს. ინფრასტრუქტურასთან ან სასწავლო პირობებთან დაკავშირებული გამოვლენილი საჭიროებები ინსტიტუციური მექანიზმების საშუალებით განიხილება, რაც ადასტურებს კავშირს მონიტორინგის შედეგებსა და რესურსების განაწილებას შორის. აღნიშნული ხელს უწყობს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას და მისი განხორციელების პირობების შენარჩუნებას.

მონიტორინგისა და შეფასების სისტემას დამატებით მხარს უჭერს ისეთი ინსტიტუციური სტრუქტურები, როგორიცაა სწავლის შედეგების უზრუნველყოფის ჩარჩო და სკოლის დონეზე მოქმედი მმართველი ორგანოები, რომლებიც აანალიზებენ შეგროვებულ მონაცემებს და გასცემენ რეკომენდაციებს. მონიტორინგის შედეგების ინტეგრირება **დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე** ციკლში უზრუნველყოფს, რომ მიღებული მიგნებები გათვალისწინებული იყოს პროგრამის დაგეგმვისა და განახლების პროცესებში. ამასთანავე, პროგრამა მიემართება მონიტორინგისა და შეფასებისთვის ინტეგრირებული ელექტრონული სისტემის გამოყენებისაკენ, რაც აუმჯობესებს მონაცემთა მართვას და უფრო ეფექტიანი ანალიზის განხორციელებას უწყობს ხელს. სისტემა ფუნქციონირებს და პროცესების თანმიმდევრულობას უზრუნველყოფს, თუმცა კვლავ არსებობს მისი შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები;
- ინტერვიუების შედეგები;

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უკუკავშირის პროცესების შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარება, რითაც შეიკვრება უკუკავშირის ციკლი.
- სასურველია, ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ყველა პროცესის სათანადოდ დასრულებას დაინტერესებული მხარეების მიერ, მათ შორის კვლევით კომპონენტთან მიმართებითაც.

შეფასება

კომპონენტი	**შეფასება**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია